სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-ს საკონკურსო

კომისიის სხდომის

ოქმი #3

ქ. თბილისი 7 ოქტომბერი 2013 წელი

<u>საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:</u>

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:</u>

ალექსანდრე ბარამიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ალექსანდრე ბურჭულაძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

ნუგზარ კაკულია – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი”-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

<u>საკონკურსო კომისიის აპარატი:</u>

ოთარ ფერაძე – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი”-ს ფინანსური მენეჯერი;

ანა ხუციშვილი – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი”-ს შესყიდვების კოორდინატორი;

<u>საკონკურსო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა:</u>

<u>საკონკურსო კომისიის წევრი:</u>

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი – სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი”-ს დირექტორი – იმყოფება შვებულებაში;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

ქ. თბილისში სანდრო ეულის №3-ში მდებარე სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"-ს შენობის არქიტექტურულ – საპროექტო – საინჟინრო – სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის კონკურსში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული საკონკურსო წინადადებების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ №923 კონკურსზე დადგენილ ვადაში ორივე კონკურსანტმა წარმოადგინა დაზუსტებული საკონკურსო წინადადებები:

- შპს "ლაინ ჯორჯია" – 2013 წლის 27 სექტემბერს – ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;
- შპს "გოდაკო +" – 2013 წლის 30 სექტემბერს – ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ და ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

განიხილეს:

საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს "ლაინ ჯორჯია"-ს და შპს "გოდაკო+"-ის წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები.

საკონკურსო წინადადებების განხილვის შედეგად კომისიამ დაადგინა, რომ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები შეესაბამება საკონკურსო განცხადებით მოთხოვნილ პირობებს. რის შემდგომ საკონკურსო კომისიის წევრებმა განახორციელეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასებები.

შეფასებების მიხედვით №923 კონკურში გამარჯვებულად გამოვლენილ იქნა შპს "გოდაკო +" (შეფასებები თან ერთვის ოქმს).

კომისიამ დაადგინა:

1. ქ. თბილისში სანდრო ეულის №3-ში მდებარე სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"-ს შენობის არქიტექტურულ – საპროექტო – საინჟინრო – სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის კონკურსში №923 გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს "გოდაკო +" და მოწვეულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

2. საკონკურსო კომისიის აპარატმა აღნიშნული გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს შპს "გოდაკო+"-ს.

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს კომისიის სხდომის ოქმის და შეფასებების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის გადაგზავნა ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:</u>

ალექსანდრე ბარამიძე

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ალექსანდრე ბურჭულაძე

ნუგზარ კაკულია

<u>საკონკურსო კომისიის აპარატი:</u>

ოთარ ფერაძე

ანა ხუციშვილი